

საქართველო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ДЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов
გამოცემის მე-14 წელი.

№ 67 (1237) | ხუთშაბათი, 5 ივნისი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

თანამედროვე ხუთჭილი

ყველა სახეობის ცნობილია შედეგური მახვილგონიერი ლეგენდა, რომელზედაც აგებულია თანამედროვე ხუთჭილი — სპორტის ეს ახალი, კომპლექსური და მეტად შრომატევადი სახეობა. იგი მელნიკის ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად იქნა შეტანილი, როგორც ოლიმპიური სახეობა. აქედანვე დაიწყო მისი კულტივირება საბჭოთა კავშირში და, უნდა ითქვას, რომ იგი საკმაოდ სწრაფად განვითარდა. საბჭოთა სპორტში თანამედროვე ხუთჭილი მსოფლიო სარიელზე და სპორტო ადგილებზე დაიკავა. საქართველოშიც სწრაფად მოიკიდა ფეხი თანამედროვე ხუთჭილი. გამოჩნდნენ სპორტის ამ სახეობის ენთუზიასტები. თბილისში, სოხუმიში, ფოთში, ზესტაფონში ჩამოყალიბდა სასწავლო ჯგუფები. დამაკმაყოფილებლად გამოვედით საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადში, ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკების სპარტაკიადში და სულ ამას წინათ ტალანში გამართულ საქალაქთაშორისო მატჩში. საქართველოს ხუთჭილები ბევრჯერ და კრავჩენკო შეყვანილი არიან საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდში. ეს ყველაფერი კარგია. მაგრამ აკმაყოფილებს თუ არა თანამედროვე ხუთჭილი დღევანდელ მოთხოვნებს? რასაკვირველია, არა.

ჩვენ გვგონია, რომ არავის. ამის მიუხედავად ეს საქმე იქ მთლიანად ჩაშლილია. „განთიადს“, „ილოკომოტივს“, „ხურევესტისს“, „კოლმეურნისს“ ჯერჯერობით არც ერთი ნაბიჯი არ გადაუდგამთ თავიანთ ორგანიზაციებში თანამედროვე ხუთჭილის დასაწერ-გავად. ყველა ერთმანდალ იმას გაიძახის, რომ ხუთჭილის ოთხ სახეობას ასე თუ ისე მოუვლით, მაგრამ ცხენოსნობას რა ვუყოთო. ვისაც ცხენები ჰყავს, პისტოლტების უქონლობას იმიზეზებს და ასე გრძელდება დაუსრულებლად. რაც მთავარია, ჯერ კიდევ 1956 წელს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ბრძანებით დაავალა სასოფლოეობის სასწავლო ჯგუფების ხელმძღვანელებს, ახსენებთ, მაგრამ არც ამ დადგენილებამ უშველა. აი, ასეთი მდგომარეობის შემდეგ ვასკვირებ არ არის, რომ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში სპორტსმენთა მცირე ჯგუფი მონაწილეობს და საშუალება არა გვაქვს სისტემატურად ჩავატაროთ საქალაქთაშორისო მატჩები რესპუბლიკის შიგნით. ეს აფერხებს თანარეგისანი გამოვლინებას და საერთოდ ანელებს ხუთჭილისადმი ინტერესს.

ასეთი მდგომარეობა ხუთჭილში შეუწყნარებელია. რესპუბლიკის სპორტული ინტერესები მოითხოვს თანამედროვე ხუთჭილი გაუთანაბრდეს სპორტის მოწინავე სახეობებს. ჩვენ, რაც მთავარია, ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს და პირდაპირ უნდა ითქვას, თუ საქმეს სიყვარულით მოვეცილებით, ინვენტარაც გამოჩნდება. აქარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, გორისა და სხვა ორგანიზაციებმა კარგად უნდა იკოდნენ, რომ მომავალ რესპუბლიკურ სპარტაკიადში თანამედროვე ხუთჭილი ძირითადი სახეობა და თუ აქედანვე არ იფიქრებს მის დაწერგავაზე, მერე გვიან იქნება.

საქართველოს განათლების სამინისტროს სისტემის სპორტკოლეგებში გაიხსნას ჯგუფები ხუთჭილში თუ არა, სამჭიდში მაინც. ეს ბავშვობიდანვე შეაჩვევს მომავალ ხუთჭილებს დიდი ფიზიკური დატვირთვის დაძლევისა და მოამზადებს რეზერვს.

უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე ხუთჭილი სპორტის ისეთი სახეობაა, რომელიც სათანადო ორგანიზაციებისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ჩვენი მიზანია, მივაღწიოთ ხუთჭილში შემავალ სახეობათა (ცურვა, სროლა, მძლეობის ხუთჭილი) პარამონულ განვითარებას.

დასასრულად, კიდევ ერთხელ შევახსენებთ სპორტულ სასოფლოეობებს, რომ ისინი მოწოდებული არიან თანამედროვე ხუთჭილის განვითარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღონ.



ტსმენებს კარგა ხნის შემდეგ ვაბრუნებ ვიწრო ერთმანეთთან. არაბეთის ქვეყნებში იყვნენ საბჭოთა სპორტული დელეგაციები, რომლებმაც მოქალაქეებთან ერთად თბილისის „დინამოს“ კალათბურთელები, რომლებმაც რამდენიმე ახანაგური ხაერთაშორისო შეხვედრა ჩაატარეს ევროპისა და სირიის უძლიერეს კოლექტივებთან. ჩვენი რესპუბლიკის კალათბურთელებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა არაბი ქვეყნების სპორტსმენთა გულდია და გულთბობა მეგობრულმა დამოკიდებულებამ.

სტუმრები გუშინ გაემგზავრნენ სამშობლოში.

სურათზეც არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალგაზრდობის დელეგაცია თბილისის „დინამოს“ სტადიონზე (ზემოთ) ბ-ნი მოჰამედ ელ-საჰივი ესაუბრება ცნობილ კალათბურთელ ო. ჭორქიას და რესპუბლიკის რეკორდსმენს რ. შავლაყაძეს.

პრაბი ახალგაზრდები საქართველოში

ამ დღეებში საქართველოს ეწვია არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალგაზრდობის დელეგაცია, რომლის წევრები ამ რესპუბლიკის ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მოღვაწეები არიან.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე სტუმრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს ჩვენში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისადმი. ეს გასაგებიც იყო, რადგან დელეგაციის შემადგენლობაში არიან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა უმაღლესი საბჭოს გენერალური მდივანი ბატონი ადელ ტაჰერი, უმაღლესი საბჭოს ტექნიკური დირექტორი დოქტორი მოჰამედ ადამი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა ჩრდილოეთი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ალი ელ-დანაში, უმაღლესი საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომელი ბატონი მოჰამედ ელ-ჰაფიზი.

თბილისში ჩამოსვლის პირველ დღეებში სტუმრები ეწვივნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტს.

ნენ საქართველოს გამოგ. სინარტლიძეს და სურბარი ჰქონდათ მასთან. შემდეგ სტუმრები იყვნენ პიონერთა და მოსწავლეთა სახალხოში, სადაც ისინი გაეცნენ ნორჩების სპორტული ბაზა — „დინამოს“ სტადიონი და იმდღერს მათთან ერთად და საბჭოთა სპორტო ს. ონანოვისა.



2 ივნისს გადაღებული პარტიების დამთავრებისას შიშოვს დიდი შეუპოვრობა დასტირდა მორჩილადესთან პარტიის გადასარჩენად. ხულოს წარმომადგენელმა ვერ გამოიყენა მოგების შანსები და 68-ე სვლაზე პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგა იყო ფიქსირებული მაჰაყარაინ-ბელთაძის პარტიაში.

ამ დღეს შედგა აგრეთვე ბოლოსწინა, XVI ტურის კასპარიან-გურგენიძის პარტია. ქართველმა ოსტატმა ბარჩია დაცვიით სისტემა, რომელსაც ოთხმოცი წლის წინათ იყენებდა ქართველი მოჭადრაკე ა.



არ გართულებულა. 23-ე სვლაზე მეტოქეები ყაიმზე შეთანხმდნენ. ბარიად, ბ. გურგენიძემ დაუმარცხებლად ჩატარებული ტურნირი დაამთავრა 14 ქულის მოგროვებით და პირველი ადგილი მოიპოვა. 5 ივნისს ბ. გურგენიძემ მიემგზავრა ბულგარეთში, სადაც მონაწილეობას მიიღებს სოფის საერთაშორისო ტურნირში.

მეორე-მესამე ადგილის შანსებს, რომელიც XXVI საკავშირო პირველობის ნახევარფინალში მონაწილეობის უფლებას იძლევა, ინარჩუნებენ მხოლოდ ოსტატები კასპარიანი, შიშოვი და ბუსლავეა.

სიტყვით „არჩინის ფარდის“ არსებობის შესახებ — საერთაშორისო კულტურული და სპორტული კავშირების განვითარების მოწინააღმდეგეთა ნაკადი ხერხია. მაგრამ უკანასკნელ ხანს „ცივი ომის“ მომხრეთა საქმეები თანდათან ცუდად მიდის. სპორტის მოყვარულთა მტკიცე მოთხოვნით, რომლებიც გამოდიან ყველა ქვეყნის სპორტსმენთა თანამშრომლობის განმტკიცებისათვის, „ცივი ომის“ ყრული სპორტში გაიბზარა. სპორტული კავშირი ფართოვდება სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, სულ უფრო ხშირად ხდებიან ერთმანეთს უგზავრთა და საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იტალიის, ბულგარეთისა და თურქეთის ატლეტები.

ამას წინათ საერთაშორისო სპორტული კავშირების განვითარებაში შეტანილი იქნა ახალი წელი — მიღწეულია მოლაპარაკება ინგლისელი ალბანისტების კავკასიონის

მწვერვალზე ისევე შესახებ (მომდინარე წლის ივლისის თვეში) და საბჭოთა ალბანისტების საპასუხო ვიზიტის შესახებ ინგლისში (მომავალი წლის ზაფხულში). ინგლისის სპორტსმენთა ჯგუფი, რომელსაც უხელმძღვანელებს 1953 წელს ევროპის რესტის დამპყრობი ექსპედიციის ხელმძღვანელი ჯონ ჰანტი, მოაწყობს ასვლას უმბასა და კავკასიონის სხვა მწვერვალებზე.

ალბანისტთა გუნდების გაცვლის შესახებ შეთანხმებამ დიდი გამოხმაურება მოიწვევა ინგლისის სპორტულ საზოგადოებრიობაში. უპირველეს ყოვლისა აღინიშნეს, რომ ამ ორი ქვეყნის სპორტსმენების ურთიერთმომსვლა ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და ინგლისის ურთიერთგზავრების განმტკიცებას. „ალბანოზიმი“ — ამასთან დაკავშირებით წერს ინგლისის დიდი გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი“ — ერთ-ერთი სასურველი ხდება გადაღებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის მიუხედავად

იმისა, რომ იგი არ იზიდავს ისეთი რაოდენობით ადამიანს, როგორც ზაღლეტი და ფეხბურთი“.

ინგლისური პრესა აცხადებს, რომ ბრიტანეთის სპორტსმენთა გამგზავრება კავკასიაში განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ინგლისური ალბანოზიმიისათვის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს კავკასიონის მწვერვალზე პირველი ამსვლელი იყვნენ ინგლისელი ალბანისტები. ჰანტი და მისი თანამგზავრები წაუღწერნენ ფრეშფილდის, რომელიც 1868 წელს ავიდა კავკასიონის მთებზე, უკუკავშირს, მამერის, ლინგტაუნის, კოლაკოვს. გაზეთები იგონებენ, რომ უმბას ერთ-ერთ მწვერვალზე 1888 წელს ავიდნენ ინგლისელი კოკინი და შვეიცარიელი ალბანოზიმი.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. უკანასკნელ წლებში სსრ კავშირის ალბანისტებმა შიშოვიც მნიშვნელოვანი წარმატებები მსოფლიოს (დასასრული მე-4 გვ.)

„ს ს ს ს ს“ ყინული გაიგზავრა

ამერიკულმა ქურნალმა „ნიუ-ლიბერტი“ გამოაქვეყნა სტატია თანამედროვე ალბანოზიმიის მდგომარეობის შესახებ, რომლის ავტორია, ეროვნებით ინგლისელი, ნაღვლიანად აცხადებს, რომ ალბანოზიმი აშკარად განიცდის კრიზისს, რომ თითქმის არ დარჩენილა მწვერვალში, რომელიც არ დაეკუროთ ალბანისტებს, რომ

ევროპული ალბანოზიმი განისაზღვრება ალბანებზე ასელებით. სტატიაში გაკვირვით ნახსენებია, რომ ახალი და საინტერესო ასელები შესაძლებელია მოეწყოს სსრ კავშირისა და ჩინეთის ტერიტორიაზე არსებულ მწვერვალებზე, მაგრამ ეს შეუძლებელია „არჩინის ფარდის“ არსებობის გამო.

სპარტაკიანის ალამი

კორესკონდენტები ასპინძის, თიანეთის, გვატყუბინების, სსალინირიის, შუახევიის...

მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიანის, რომელიც ერთ კვირას გრძელდება, დამთავრდა ასპინძის, დამალისა და ქობარეთის საშუალო სკოლების ფიზკულტურული გამარჯვებით. ფრენბურთში, კალათბურთსა და მძლეოსნობაში პირველი ადგილები მოიპოვეს ასპინძელმა მოსწავლეებმა, ქართულ ქიდაობაში — ტოლოშის საშუალო სკოლამ, რომლის სპორტსმენებმა შ. ებრაელიძემ, უ. ლომსაძემ და გ. თეგბერაძემ ყველა შეხვედრა სუფთა გამარჯვებით დამთავრეს. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს ასპინძისა და თიანეთის გუნდებმა. ასპინძის განათლების განყოფილება სპარტაკიან ადგილზე გამოსული

კოლექტივები დააჯილდოვა სპორტინვენტარითა და დიპლომებით.

ვ. ცინაძე

ორასზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა პირველ რაიონულ სპარტაკიანში, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა. კარგი შედეგებით აღინიშნა მძლეოსნობაში შეჯიბრება, სადაც სიმალღებზე ხტომაში ვაჟთა შორის მე-11 კლასელმა გ. სამხარულმა დაძლია 165 სმ. გოგონათა შორის გამოარბენით სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა სოფ. ხარციხის შვიდწლიანი სკოლის მე-5 კლასელმა პ. ჭყურინიშვილმა

— 4 მ 20 სმ. იგი პირველი იყო 60 მეტრზე რბენაშიც — 9,2 წ. 100 მეტრზე ჭაბუკთათვის ჩემპიონი გახდა თიანეთის სკოლის მე-11 კლასელი ს. გუშარაშვილი — 12,0 წ.

ფრენბურთში ყველა შეხვედრა მოიგეს თიანეთის საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში რაიონის ჩემპიონი გახდა თიანეთის მოსწავლე ს. ხახიაური (49 ქ. 50 შესაძლებლიდან), ქართულ ქიდაობაში პირველ ადგილებზე გამოვიდნენ: გ. ბიჩინაშვილი, თ. წივილაშვილი, გ. ცალუღელაშვილი,

ს. ბლარაშვილი, ა. ბუბუღელი და ი. გრიჭურთვი.

საერთო პირველი ადგილი მოიპოვეს თიანეთელებმა.

ო. ჯამაგიძე

ქალაქის სპორტულ ბაზებზე სამ დღეს გრძელდებოდა სამხრეთ-ოსეთის მოსწავლეთა საოლქო სპარტაკიანის, რომლის პროგრამაში იყო ორი სახეობა — მძლეოსნობა და სროლა. მძლეოსნობაში გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს სტალინიელებმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ვაჟელი

სპორტსმენები, ხოლო მესამე — სტალინიის რაიონის ფიზკულტურელები. მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში (წოლელა, ჩოქელა და დგომელა) უძლიერესები აღმოჩნდნენ ბ. ბრანციო, კ. გასიევი და ე. აბაევი.

ვ. მეღუკევი

მესამე რაიონულ სპარტაკიანში, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, ფრენბურთი და მაგიდის ჩოგბურთი კარგად მომზადებულები აღმოჩნდნენ შუახევის საშუალო სკოლის ფიზკულტურელები და მოიპოვეს კიდევ პირველი ადგილი. მძლეოსნობაში შეჯიბრებაზე ყველას აჯობეს ოდილაურელმა ა. სურბანიძემ (100 და 1500 მეტრზე რბენაში). შუახეველმა ს. მოსიძემ (ბადროს ტყორცისა და ბირთვის კვარაში), ნ. სიხარულიძემ (100 მეტრზე რბენაში გოგონათა შორის) და სხვ.

შ. შანიძე

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიანის ფრენბურთში პირველ ადგილზე გამოვიდნენ გუგუქორის მეორე საშუალო სკოლის ვაჟთა და ბანძის საშუალო სკოლის გოგონათა გუნდები. კალათბურთში გაიმარჯვეს სერგეთის ვაჟთა და ბანძის გოგონათა კოლექტივებმა. მძლეოსნობაში ჩემპიონები გახდნენ სერგეთელი მოსწავლეები, ხოლო ტყვიით სროლაში — ლეხინდაროს საშუალო სკოლის მსროლელები.


საერთო გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს ბანძელმა სპორტსმენებმა. შეჯიბრებებში 64-მა მოსწავლემ აჩვენა სათანადო ნორმატივი.

გ. ლაფანაშვილი

ჩვენი მკითხველები გვწერენ

დახმარების ნაცვალ

როგორ მოიფიქრეს?



პატარა სოფელი როდია ქალაქი. ფაქტად მარტო ის კმარა, თუ ვიტყვით, რომ აქ არის მელორების საბჭოთა მეურნეობა, სახელმწიფო სელექციური სადგურის კოლხიდის ფილიალი, საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტის კოლხიდის საცდელი სადგური, საშუალო და შვიდწლიანი სკოლები. ამას გარდა სოფელში რამდენიმე ასეთი ახალგაზრდაა, რომლებსაც უყვართ ფიზკულტურა და სპორტი, მაგრამ ქალაქში არსადაა სპორტული ბაზა, სადაც შესაძლებელი იქნებოდა რაიმე მასობრივი ღონისძიების ჩატარება. ერთ დროს ქალაქიდან სპორტის ნაწილი აქაური მხედრები იყვნენ დაკომპლექტებული ფოთის გუნდში, რომელიც არაერთხელ გამოსულა წარმატებით რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე, ყავდათ კარგი ფეხბურთელები, ლელობურთელები და სხვა სახეობათა წარმომადგენლები. ახლა კი...

კიდევ არაფერი ეთქვათ ახალგაზრდებს, რომ ერთ გარემოებას მოთმინებიდან არ გამოეყვანა ისინი. ყველაფერი ერთადერთი სპორტული ბაზის — ფეხბურთის მოედნის გადახვნის შემდეგ დაიწყო. ნოთუ ქალაქში არ იყო სხვა ადგილი, რომ სახელმწიფო სელექციის კოლხიდის ფილიალის სადგურის მუშაკებს ფეხბურთის მოედანი არ გადაეხნათ.

სპორტით დაინტერესებულმა ახალგაზრდებმა დახმარებისათვის ჯერ სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელებს მიმართეს, მაგრამ ამაოდ. შემდეგ შექმნილი მდგომარეობა ფოთის საქალაქო გაზეთში ამხილეს, სადაც მოითხოვდნენ მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებას, მაგრამ კვლავ ამაოდ.


ქალაქიდან ფიზკულტურელებს მოთმინების ფილა აეცხათ...

მ. გვარამია

სურათზე: ახე გამოიყურება ქალაქის „სტალინი“ გადახვნის შემდეგ.

ფიზკულტურა — თვით ეს სახელწოდება — სიჯანსაღის, სილამაზისა და თუ შეიძლება ასე ითქვას, ფიზიკური სიწმინდის სიმბოლოა. ყოველივე ამაზე ნაკლებად დაფიქრებულან ის პირები, რომელთა „ინიციატივითაც“ მოხდა თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის ფიზკულტურის სახელის მინიჭება და აი რატომ: ამ „ქუჩას“, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, დიდუბე-საბურთალოს საცალფეხო ხიდის ბოლოს მდებარეობს, ძალიან დიდი პირობითობით შეიძლება ვუწოდეთ ქუჩა. ის უფრო სოფლურ ორბობეს მიაჯავს. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. ვფიქრობთ, თბილისში ძნელად მოიხაზება ასეთი ულაზათო და მოუწყობელი ქუჩა, როგორც ისაა, როგორ მოიფიქრეს ამ უგაზანო ქუჩისათვის ფიზკულტურის სახელის შერქმევა?

სურათზე: თქვენ ხედავთ ფიზკულტურის ქუჩის თავისი მოსახვევებით.



ორში ერთი: ან „ქუჩას“ უნდა გადაერქვას სახელი, ან კიდევ ეს ორბობე უნდა გადაიქცეს ისეთ ქუჩად, რომელიც ამ საპატიო სახელწოდების ღირსი იქნება.

ი. კიზირია,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.



შეიქმნა კლინიკი გუნდები

როცა ფარცხანაყანეის (წყალტუბოს რაიონი) სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ძირეული ფიზკულტურული საბჭოს გადამწყვეტილებით ჩამოყალიბდა ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთისა და მძლეოსნობის სექციები, ზოგიერთი უკმაყოფილებასაც კი გამოთქვამდა — სად გამოიხატეს სოფლის ახალგაზრდობა იმის საშუალებებს, რომ ყველა სექციაში ნაყოფიერად იმუშაოს, რომ არ აჯობებდა ერთი ან ორი სექციის ჩამოყალიბება?

ფიზკულტურის ძირეული კოლექტივის თავმჯდომარემ რ. ბერიძემ მკიდროდ შემოიკრიბა ფიზკულტურული აქტივი. დახმარებისათვის მიმართა კოლმეურნეობის მამკობას, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს. მიიღო რა სათანადო მხარდაჭერა, ფიზკულტურულმა კოლექტივმა ფართოდ გაშალა მუშაობა. საქმიანობა კიდევ უფრო გაძლიერდა მას შემდეგ, რაც სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების ახალი სისტემის დანერგვა დაიწყო.

რეგულარული წერტის შედეგი „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს პირველობაზე გამოჩნდა. ფარცხანაყანეელმა ფრენბურთელებმა ძლიერად ჩაატარეს შეხვედრები და პირველი ადგილი დაიკავეს.

ასევე პირველი ადგილი აიღეს „კოლმეურნეს“ რაისაბჭოს პირველობაზე კალათბურთელებმაც, ხოლო კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი მტკიცედ დამკვიდრდა პირველ სამეულში.

წ. კახიძე

მკაპალი მსროლადის მონაწილეობით

დოსაფის ზესტაფონის რაიონის ძირეულ ორგანიზაციებს შორის ჩატარდა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლასა და ყუმბარის ტყორცნაში, რომელშიც მონაწილეობდნენ რაიონის კოლმეურნეობებისა და საშუალო სკოლების გუნდები.

შეჯიბრებაში კარგი შედეგები აჩვენეს არგვეთის ლენინის, დილიკოურის სვერდლოვის, ზედა საქარის მერკვილიძის სახელობის კოლმეურნეობებისა და ზესტაფონის №1, №2, №3, №4, პირველი სვირისა და ძირულის საშუალო სკოლების სპორტსმენებმა. შეჯიბრებაში მონაწილე

400 ფიზკულტურელიდან 123 შეასრულა სათანადო ნორმატივები.

გამარჯვებული სპორტსმენებიდან დაკომპლექტდა გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიღებენ კომკავშირის მე-40 წლისთავისადმი მიძღვნილ დოსაფის ზესტაფონის რაიონულ სპარტაკიანში.

ს. ტალახაძე

კროსი სიღნაღში

სიღნაღში „კოლმეურნეს“ რაისაბჭომ ჩატარა კროსი, რომელიც მიუძღვნა კომკავშირის მე-40 წლისთავს. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 204 ფიზკულტურელი. ვაეპში პირველი იყო ა. ხუნაშვილი, ხოლო ქალებში მ. ლაბაჩოვა.

ნ. მღებრივა





1 ივნისს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველხარისხიანი ფეხბურთში.

I ზონა

თელავის „სპარტაკმა“ თავის მინდორზე მიიღო თბილისის ტრამპი-ტროლებუსის სამმართველოს გუნდი და განიცადა დამარცხება ანგარიშით 1:5.

ქუთაისში შედგა მატჩი ადგილობრივი „დინამოსა“ და რუსთავის „მეტალურგს“ შორის. მეტად დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება მოიპოვეს ქუთაისელებმა — 2:1.

ფიჭულტურის ინსტიტუტისა და ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ თბილისში. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და დამარცხეს ინსტიტუტის გუნდი ანგარიშით 4:2.

ყოველ ტურში აუმჯობესებს თავის სოხუმის „დინამო“. ამჯერად მან კარგად ითამაშა სტალინის „სპარტაკთან“ და დამარცხა იგი ანგარიშით 5:0.

მორიგი დამარცხება განიცადა ქობულეთის „კოლმეურნემ“, რომელმაც თავის მინდორზე წააგო გორის „განთიადთან“ — 0:1.

II ზონა

ბათუმში თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამო“ და ფოთის გუნდი. საინტერესო შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვედრა ჰქონდა მახარაძეში, ადგილობრივი „კოლმეურნესთან“. 90 წუთის განმავლობაში ბურთი არ ყოფილა გატანილი — 0:0.

სამტრედიის „ლოკომოტივმა“ ამ დღეს თავის მინდორზე მიიღო „ოდიში“ (ზუგდიდი). თამაში მიმდინარეობდა სამტრედიელთა უბრაბურთობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 4:0.

თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდი ქიათურაში შეხვდა ადგილობრივი „მალაროლს“. ანგარიშით 2:1 გამარჯვდა მასპინძლებმა.

რუსთაველი თამაშობდნენ ადგილობრივი „სხივი“ და ლანჩხუთის „კოლმეურნე“. მატჩი მოიგო „სხივი“ ანგარიშით 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 5 ივნისისათვის

ტ. მ. ფ. ვ. ბ. ქ.	ტ. მ. ფ. ვ. ბ. ქ.
ტბს თბ.	8 7 0 1 26:9 14
„მეტალ.“ რუსთ.	9 6 1 2 18:8 13
„დინამო“ სოხ.	8 5 2 1 26:7 12
„დინამო“ ქუთ.	8 6 0 2 19:12 12
ფიჭ. ინსტ.	9 3 3 3 14:11 9
„სპარტაკი“ სტ.	9 3 1 5 19:19 7
ახ. საფ. სკ. თბ.	9 3 1 5 13:13 7
„სპარტაკი“ თელ	9 3 0 6 14:39 6
„განთ.“ გორი	9 2 1 6 5:18 5
„კოლმ.“ ქობ.	8 0 1 7 3:20 1

II ზონა

„ტორპედო“ ქუთ.	9 4 4 1 12:6 12
„მალარ.“ ქიათ.	9 4 4 1 15:13 12
„სხივი“ რუსთ.	9 3 5 1 13:7 11
„დინამო“ ბათ.	9 3 5 1 11:7 11
„კოლმ.“ მახ.	9 4 3 2 8:4 11
„კოლმ.“ ლანჩხ.	9 3 2 4 10:11 8
26 კომ. სახ. რ-ნი თბ.	9 2 4 3 9:12 8
ქ. ფოთი	9 2 3 4 11:13 7
„ლოკ.“ სამტრ.	9 2 2 5 10:10 6
„ოდიში“ ზუგდ.	9 1 2 6 8:19 4



რეზერვებთან მუშაობა უნდა გაუმჯობესდეს

გ. კილაია, ხაკეშირო კატეგორიის მსაჯი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით, 1958 წლიდან დაწყებული, ყოველწლიურად ტარდება მოზარდთა კომპლექსური შეჯიბრებები ტანვარჯიშის სამივე სახეობაში. შეჯიბრებებში ამ სისტემით ჩატარებამ საგრძნობი დახმარება გაუწია განათლების სამინისტროსა და რეზერვების სკოლების ნაირგვარ გუნდებს წარმატება მოუპოვეთ ნათესავებით მასშტაბის შეჯიბრებებში. კომპლექსური შეჯიბრებები წინ უძღვის მოზარდთა რესპუბლიკურ და საკავშირო სპარტაკიადებს, მზადყოფნაში მოყვას როგორც მწვერულელები, ისე ტანვარჯიშეები და თვით შეჯიბრების პრეტენდენტ უფრო ნათლად აკლეს ტანვარჯიშეთა მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

კომპლექსური შეჯიბრება წელს მეოთხედ ჩატარდა. ისევე, როგორც წინა წლებში, გარდამავალ თასის თბილისის განათლების განყოფილებას ცენტრალური ტანვარჯიშული სპორტსკოლა დაეუფლა. მაგრამ სამუშაოდ, შეჯიბრება კომპლექსური აღმოჩნდა მხოლოდ თასის მფლობელის, აფხაზეთის, აჭარისა და ქუთაისის გუნდებისათვის, ხოლო სახმრეთ-ოსეთის, გორის, თბილისის რეზერვის სახ. რაიონისა და სხვ. კოლმეტივებში არ იყვნენ წარმოდგენილი მხატვრულ ტანვარჯიშეთა და აკრობატთა გუნდები. ამ გარემოებას უნდა მიეძღვნა სერიოზული ყურადღება, ვინაიდან თუ კომპლექსურ შეჯიბრებაში არ იქნა წარმოდგენილი ტანვარჯიშის სამივე სახეობა, იგი კარგავს თავის მნიშვნელობას.

თბილისიდან რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ქალაქის ყველა ფიზიკულ-სპორტულ ორგანიზაციებს შორის შეჯიბრებაში პირველ 4 ადგილზე გამოუსული კოლმეტივები: აღსანიშნავია, რომ ამ ნახევარფინალურ შეჯიბრებებში „მომთითი რეზერვების“ გუნდმა დაიკავა უკანასკნელი, მე-11 ადგილი, ხოლო „დინამომ“ ვერ მოიპოვა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება, რაც ნაწილობრივ იმიტაცა იქნება, რომ ეს ორგანიზაციები სათანადოდ არ ზრუნავენ მხატვრული ტანვარჯიშისა და აკრობატის განვითარებისათვის.

გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ თბილისის პირველხარისხიანი მონაწილეობა ვერ მიიღეს „განთიადმა“, „სპარტაკმა“, „ბურევესტნიკმა“ და პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში. გასაუაროა, მაგრამ ფაქტია, რომ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს არც ერთხელ არ გამოუცდია თავისი ძალები შეჯიბრებაში, თუმცა ამ დაწესებულებაში მუშაობა მიმდინარეობს ტანვარჯიშის სამივე სახეობაში. უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოაღნიშნული ორგანიზაციები და-

დიდი უპირატესობის მიუხედავად

თბილისი „ბურევესტნიკის“ სტადიონი. 4 ივნისი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (სტავროპოლი) — 1:1 (1:1).

„ბურევესტნიკი“: რუხაძე; გავუა, კუპავა, წოწელი; მუმლაძე, გოგიჩაიშვილი (სიბინავა); იაშვილი, ხაზარაძე, ურთქმელიძე, ზეინკლიშვილი, ხოქოლაძე.

„სპარტაკი“: ემაგვი; გულიაშვილი, ჩუხოსოვი, პლოტნიკოვი; ტუსენუტდინოვი, ეზიკაშვილი; ცინაზევი, გოვორუნი, პარამოშინი (ბელიაევი), ბიბაკოვი, პოლევოი.

მსაჯი ბ. აფანასიევი (მოსკოვი).

სულ რამდენიმე წუთი იყო გასული თამაშის დაწყებიდან, როცა „ბურევესტნიკის“ მცველებმა უყურადღებოდ დატყვეს კინაზევი, რომელიც მეტად სახიფათოდ გავიდა საჯარიმო მოედანზე და მხოლოდ მისი ანაზუსტა დარტყმის წყალობით გადაარჩნენ მასპინძლები გოლს.

ამის მოყვა თბილისელთა ხანგრძლივი შეტევა. რომლის დროსაც ხოქოლაძემ, ხაზარაძემ და იაშვილმა ზედღებულ დაკარგეს რამდენიმე მეტად ხელსაყრელი მომენტი. რამდენიმე ძნელი ბურთი აიღო „სპარტაკის“ მეკარე ემაგვი.

25-ე წუთზე რიბაკოვი სწრაფი დრიბლინგით გავიდა თბილისელთა დაცვაში და კუპავა იძულებული იყო ხელით დაეჭირა იგი კარის წინ. 11-მეტრიანი საჯარიმო ძლიერი, ზუსტი დარტყმით გამოიყენა პოლევოი — 1:0.

„ბურევესტნიკმა“ ეს გოლი გაქვითა ანალოგიური პენალტის შემდეგ. ჩუხოსოვმა უჩინოდ წააქცია ხოქოლაძე და ხაზარაძემ გაიტანა საპასუხო ბურთი, თუმცა, ემაგვი შესანიშნავი ნახტომით კინაღამ არ აიღო იგი.

მეორე ტაიმი მთლიანად თბილისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. მათ ჯერ კიდევ პირველ წუთებში შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა, მაგრამ გადაწყვეტილი დარტყმები არ იყო ზუსტი. მე-15 წუთზე ურთქმელიძემ თავით მიიღო მუშაობის გადაცემა და კარის შორეულ კუთხეში დაჯახდა იგი. ემაგვი შეძლო ამ უძნელესი ბურთის აღება. ბურთის გატანის ნაღდი შესაძლებლობა ჰქონდათ ამის შემდეგ კოლაჯ ურთქმელიძისა და იაშვილის, მაგრამ ორივე შეთხვევაში ბურთი ძილს მოხვდა.

ასე ვერ შეძლეს თბილისელებმა თავიანთი უპირატესობის რეალიზება და იძულებული იყვნენ დაეპყრობიან ლეგენდარულ გრეთ 1-ლით — 1:1.

რ. ქორიძე

მასის მოსკოვში მუშაობა დაიწყო სპორტული მედიცინის სპეციალისტთა ფედერაციის კონგრესი. მუშაობაში მონაწილეობდა 800-მდე სპორტული საზოგადოების წარმომადგენელი.

მდგომარეობა 5 ივნისისათვის

ტ. მ. ფ. ვ. ბ. ქ.	ტ. მ. ფ. ვ. ბ. ქ.
„სპარტაკი“	11 5 8 3 10:10 13
„სპარტაკი“	8 4 4 0 22:10 12
„სპარტაკი“	8 3 5 0 21:11 11
„სპარტაკი“	8 3 4 1 13:8 10
„სპარტაკი“ თბ.	10 4 2 4 16:25 10
„სპარტაკი“ ქ.	8 2 5 1 15:10 9
„სპარტაკი“	8 3 3 2 13:10 9
„სპარტაკი“	7 3 2 2 11:6 8
„სპარტაკი“ მ.	8 3 2 3 12:8 8
„სპარტაკი“	10 1 5 4 7:14 7
„სპარტაკი“	11 3 0 8 17:30 6
„სპარტაკი“	11 0 5 6 12:27 5

ლენინგრადი. 3 ივნისი. ს. მ. ლეონიძის სახელობის სტადიონზე შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველხარისხიანი ფეხბურთში. ადგილობრივი „ბურევესტნიკი“ მიიღო კიშინიოვის „მოდენა“.

მატჩი მოიგეს ლენინგრადელებმა ანგარიშით 5:0.

მდგომარეობა 5 ივნისისათვის

ტ. მ. ფ. ვ. ბ. ქ.	ტ. მ. ფ. ვ. ბ. ქ.
„სპარტაკი“	10 7 2 1 20:3 16
„სპარტაკი“	10 7 2 1 17:6 16
„სპარტაკი“	11 6 3 2 23:12 15
„სპარტაკი“	10 6 1 3 26:13 13
„სპარტაკი“	9 5 1 3 20:10 11
„სპარტაკი“	9 4 3 2 11:9 11
„სპარტაკი“	10 4 3 3 16:17 11
„სპარტაკი“	10 3 5 2 13:15 11
„სპარტაკი“	11 4 1 6 11:24 10
„სპარტაკი“	8 3 2 3 6:7 8
„სპარტაკი“	9 2 4 3 11:14 8
„სპარტაკი“	9 3 2 4 8:11 8
„სპარტაკი“	9 3 1 5 11:14 7
„სპარტაკი“	9 2 1 6 5:14 5
„სპარტაკი“	9 1 1 7 3:16 3
„სპარტაკი“	9 0 0 9 6:22 0

შენიშვნა: 4 ივნისის მატჩებიდან დათვალიერებული შეტანილია თბილისის „ბურევესტნიკის“ და სტავროპოლის „სპარტაკის“ გუნდების შედეგი.

როსტოვი. 3 ივნისი. (ტელეგრაფი). აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველხარისხიანი ფეხბურთში. კლასის IV ზონის გუნდებს შორის თამაშობდნენ სკვო (როსტოვი) და თბილისი.

თამაში მოიგეს როსტოველებმა ანგარიშით 3:1.

3 ივნისს ბაქოში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ნეფტჩიანი“ და კრასნოდარის „ყუბანი“. მატჩი მოიგეს „ნეფტჩიანი“ გამარჯვებით — 4:1.

"ს ი ვ ი მ ი ს" ყინული გაიგზარა

(დახასრული)

უძველესი მწვერვალების დაპყრობის საქმეში, ინგლისელი სპორტსმენები ცდილობენ ახლო გაეცნონ ამ მიღწევებს.

ჩვენს — განაცხადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქრისტოფერ ბრეშერმა, რომელიც აქამდე სპორტული ჟურნალისტიკა და შეყვანა იყო. ჰანტის ექსპედიციაში, — იმედი გვაქვს ვინახოთ საბჭოთა ალპინისტების ომის შემდგომი კოლოსალური წარმატებები.

ინგლისელი ალპინისტთა დელეგაციაში, რომელიც ჩამოვა კავკასიაში, ჯ. ჰანტისა და ქ. ბრეშერის გარდა შეყვანილი არიან: რალფ ჯონსი — პროფესორი სამუშაოთა გამანაწილებელი, დევიდ ტომასი — გეოლოგი (ორივე მანჩესტერიდან), ალან ბლეკმორი — ლონდონელი მოსამსახურე, დევიდ ბული — ფინანსისტი კემბრიჯიდან, ვულვერტონის ინჟინერები ჯონ ნეილი და მაიკლ ჰერისი.

ჯ. ჰანტის ექსპედიციის წევრებს

ე ა ბ ა ხ ი

ნაწევრები პოემიდან

ღრუბელთ ჯვანი ქრება ცაზე, მა, ზამთარიც მიილია, ბაღში ხეებს, ზვრებს და ვაზებს სიხარულის ტირილი აქვთ. შემოსილა მოლი მწვანით, ციმციმებენ უვავილები, მთებში შლივი ხობისწყალი ბღავს როგორც ხარ-ირემი. გაზაფხულის ამ ზვიშზე სიოც მღერის მაყარივით, შორს მთებს დიდი, ნათელი მზე მოპაყვთ ხელში აუვანილი. უცებ, ბუკის ხმამ ზვიადმა დაიხუვლა გაბრაზებით, ფრთა შეისხა, გადაიდა, შესძრა ზეცის დარბაზები. ახუხუნდა, როგორც ჯიქი, გაუტოლდა ცაში მერცხალს, შემდეგ სადაც, ღრუბლებს იქით, ელვასავით ჩაიკეცა. გამობრძანდა სახახლიდან „სამეგრეთლოს კეისარი“, მისი ერთი დანახვითაც შედრკებოდა მტრების ჯარი. თვალი — ელვა, ხმა — ენგური, ცხვირი — ოდნავ კეხიანი, ღრუბელივით წარმშეკრული მოდის, თითქოს მეხი არი. ტანხოვან ახალგაზრდებს მოუძღვან თავაკები და სიოსებრ დაბალ ხმაზე საუბრობენ გატაცებით. შემოჯარდნენ რაზმელები, განთქმულები მტკიცე ნებით — შავულვაშა ბანძელები, გულწვიადი კირცხელები. აგერ, ნაზი ვით ფრინველი, სათნო, როგორც თვალისხინი — დგას ღიმილით მიმზიდველით შავთვალწარბა ქალიშვილი. შეკრთა უტუ. ტანბრეგ მხედარს შეეფარკლა ხახე ოდნავ, გულის სწორთან აქ შეხვედრას არ ფიქრობდა, არ ელოდა. მა, მხედრებიც მოემზადნენ, მოგელავენ თქარა-თქურით, სახახლის წინ მოედანზე მის სვეტია აღმართული. ხეებზე უქრობ შუქით ბრწყინავს გაზაფხულის ელვის მსგავსი, ვარსკვლავით ვაწაწინა, მოციმციმე ვერცხლის თასი.

მიქრის ცხენი თავაწევრებით, უკან რჩება ბული მტვრისა, ახალგაზრდის დელავს მერდო, ვით მაქარი დუდილისას. ლალი, როგორც დიდის ქარი, სამიწისთან გაჩნდა როცა, მოიმარჯვა მშვილდისარი და ცხენიდან მარდად ტყორცნა. მაგრამ ვუკაცხ, ლხენით აღვისილ სახე წყენით შეებურა, პაწაწინა ვერცხლის თასი სვეტზე იღვა ძველებურად. წამს მეორეც ველზე უცებ შემოაგდო შავრა ცხენი, მიქრის, გული გზენით უცემს, შიში არ აქვს დამარცხების. დრტვინავს ხალხი, დელავს ხალხი, სიხარულით ახლებურით, მხედარს ხახე უბალახით მქონდა სულ მთლად ახეული. უცებ ხალხის ხმა-გნისი გაიზარდა ერთი-ოთხად, კენწეროვან მდგარი თასი ფრინველივით შეფრთხილდა. არ ელოდა თავად ამდენს, ჩანს გაუხსნა მას ცა ლენის, თასს, მიწაზე დავარდნამდე, ჩაუქურად სტაცა ხელი. — ვინ არისო! — ხალხში მარდად ხმა დაირბა, დაიქუხა; — ვინ არისო! — აშრიალდა სახახლის წინ მდგარი მუხაც. თითქოს ძველის მოგონებით სიოც წამით გაირინდა, ტანწერწერა გაიგონებოდა ჩამობრბიან აივნიდან. ხელში თასით, ქალების წინ დინჯად დგება მოისარი, მისი გული ვისთვის იწვის, ალბათ, ამთ შორის არი. მართლაც იქვე, მის ქვეშ მარტო დგას გოგონა, მთვარის მსგავსი. მა, ვაუკაცხავ, გულის ხატრფოს მიაწოდა ვერცხლის თასი. უტუ უცებ შეკრთა წუთით, აუქარდა ბოლომთ ხუნთქვა, მაგრამ მინც სიტყვა ცუდი მეტოქისთვის აღარ უთქვამს. ირავლივ იხევ გრგვინავს ტაში, თითქოს მთებში ხელობს ქარი, — უცებ, მღელვარ ხალხის ზღვაში გაქრა უცხო ცხენოსანი.

ჩანსულ ნიქაბაძე

გაღწევითი აქვთ სსრ კავშირში თავიანთი მოგზაურობის დროს ლეტალურად განიხილონ 1959 წელს ბრიტანეთში საბჭოთა სპორტსმენების ჩამოსვლის პროგრამა. ამასთან დაკავშირებით ქ. ბრეშერმა განაცხადა, რომ რუსებს შესაძლებლობა ექნებათ მოაწიონ ასევე უელსის, შოტლანდიისა და კუნძულ სკაის მთებზე. ამას გარდა, ინგლისის სპორტული საზოგადოება მომხრეა, რომ საბჭოთა ალპინისტებს გაეგზავნათ წინადადება ჩავიდნენ ინგლისის დამინიონების მთიან რაიონებში. „რუსებმა უნდა მოინახულონ ახალი ზეულანდია — ჰილარის, ჰარდისა და ლოუს მთებზე. — აღნიშნავს გავითი „მანჩესტერ გარდიანი“. — სადაც ნახავენ ბუნების ზეგ მშვენიერებას“.

საბჭოთა ადამიანები ყოველთვის იყვნენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ხალხსადმი მეგობრული კავშირების განვითარების მხურვალე მომხრეები. ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები მოხარული არიან მიიღონ თავიანთ მიწაზე ინგლისელი ალპინისტები, ამერიკელი კალათბურთელები, ფრანგი ჩოგბურთელები. ჩვენ კონტაქტების გაფართოების მომხრენი ვართ, რადგან სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა შეხვედრები ხელს უწყობს ხალხთა შორის მეგობრობის და მშვიდობის საქმეს.

ბ. პიადიშვილი.
„სოვეტსკი სპორტი“ 22.5. 1958 წ.

ლავციას კითხულობს ჩემპიონი

ამ დღეებში საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის საქალაქო განათლების სამსახურის საქალაქო კომიტეტმა მოაწიეს სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის, მსოფლიოს ორჯის ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძის ლექცია თემაზე: „საბჭოთა მოქიდავები ამერიკაში“.

ლექცია, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო, ინტერესით იქნა მოსმენილი.

ი. ბუხაიძე

ახსნაგური შხვედრა

ამას წინათ ლენინგორის საშუალო სკოლის სპორტულ მოედანზე ჩატარდა ამხანაგური შეხვედრა ფრენბურთში. მონაწილეობდნენ სოფელ აკოთის, სარბიელის, ლენინგორის საშუალო სკოლებისა და ლენინგორის საბავშვო სახლის ქალთა და ვაჟთა გუნდები.

შეხვედრაში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა ლენინგორის სკოლის ფრენბურთელებმა, ხოლო ქალთა შორის — სარბიელელებმა.

ს. დემეტრაშვილი

სამი რაიონული ჩემპიონი

მესტაში დამთავრდა რაიონული სპორტული ჩემპიონატი, რომელშიც მონაწილეობდა რაიონული მსოფლიო ჩემპიონის ქართული მსოფლიო ჩემპიონისა და მსოფლიო ჩემპიონის 10 მებრუნე ყველა აჯობა ქ. რატიანი — 11,4, რაიონის ახალი ჩემპიონი, ბირთვის კვრამი ქალთა შორის გამარჯვება ლ. ჯაფარიძის ვაჟებში გ. სუბელიანმა. რაიონის ორი რეკორდი იქნა დამყარებული სივრცეში და სიმალეზე სტომაში გ. სუბელიანმა დაძლია 170 სიმაღლე, ხოლო შ. ჩხეტიანი მა სივრცეზე სტომაში აჩვენა 612 ესტაფეტაში 4x100 ვაჟთა შორის გამარჯვებს სოფელ ქუბერის სპორტსმენებმა, ქალთა შორის — ჯ. გურის მძლეობებმა. 400 მეტრზე რბენაში ადგილობრივი პირველი იქნა მუსუქლიანი, 1500 მეტრზე — ი. შუკვანი.

ფრენბურთში რაიონის ჩემპიონი გახდა მესტიის გუნდი, ქართულ კალათბურთში გამარჯვებული გამოვიდნენ ქუბერელი სპორტსმენები წინააღმდეგობის მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ლ. ჩხეტიანი, კ. გულელიანი, ი. შუკვანი, ნ. გვირიანი, კ. იოსელიანი, ე. მარჯანი. ზორგუნი და გ. სუბელიანი.

სპორტკლავის საერთო პირველი ადგილი მოიპოვეს ქუბერელ სპორტსმენებმა.

ვ. რატიანი
ჩვენი ხაყ. კორესპონდენტი.

იგოთი-დამისყანა

ამ დღეებში იგოთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოაწიეს ლაშქრობა მარშრუტით იგოთი — დამისყანა, დაათვალიერეს „გურიის შეილის წყარო“. იქვე მოეწყო ამხანაგური შეხვედრა ფრენბურთისა და კალათბურთში ადგილობრივი საშუალო სკოლის მოსწავლეებთან.

ფრენბურთში გამარჯვებს სტუდენტებმა ანგარიშით 2:0, ხოლო კალათბურთში მასპინძლებმა 40:28.

ვ. მგელაძე

მიმდინარეობს დხაუდაზირის რაკყრობა

როგორც ვახეთი „სოვეტსკი სპორტი“ იტყობინება, ჰიმალაიში მიმდინარეობს მწვერვალ დახაუდაზირის (8172 მ.) დაპყრობა შევიცარიელ გეგმედიციის მიერ. ეს ამბავი მსოფლიოს მთამსვლელების დიდ ყურადღებას იპყრობს. ცნობილია, რომ დახაუდაზირის მთის მთამსვლელებმა დაიწყეს მისი დაპყრობის მუშაობა და ყარაყუმის ქედებზე არსებობს 8000 მეტრზე მალაი თითქმის მწვერვალი. მათგან თერთმეტი ალპინისტებმა უკვე დაიპყრეს. შევიცარიელთა გეგმედიციაში შედიან რვა ნაცალი მთამსვლელები, ცნობილი ციურბილი ალპინისტის ვერნერ შტოიბლემის მეთაურობით. სხვათა შორის, შტოიბლემი ჯერ კიდევ 1955 წელს ყოფილა ჰიმალაის დახაუდაზირის მთამსვლელების მთამსვლელები.

მარტის დასაწყისში გეგმედიცია გამართა მწვერვალის დასაპყრობად მას ძნელი და მძიმე გზა ჰქონდა დასავლეთი და მთის მთამსვლელები. თვის ბოლოს ალპინისტებთან შეწყდა კავშირი. გეგმედიციის მეთაურის ვერნერ შტოიბლემის მეთაურობით მის აზრით დახაუდაზირის უშუალო შტურმს ისინი შეუდგებიან ჩრდილოეთის მხრიდან. შევიცარიელთა გეგმედიციის განაღობა წელს დახაუდაზირზე ასასვლელ გეგმედიციას იტალიელები, ხოლო ცნობილი მთამსვლელები ჩარლზ ევანსმა, რომელიც ამას წინათ საქართველოს ესტუმრა, განაცხადდა თუ შევიცარიელები ვერ აიღებენ მწვერვალს, მაშინ 1959 წელს ინგლისელები გაემართებიან მის დასაპყრობად.

რედაქტორი ი. უგულავა




ვარშავა. გასულ ყვირას აქ თავისი უკანასკნელი საწვრთნელი მატჩი ჩატარეს შოტლანდიის ფეხბურთელებმა, რომლებიც შეხვედრის ბოლომდე ნაკრებ გუნდს. თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და შოტლანდიელებმა მხოლოდ მის დასასრულს შეძლეს გადამწყვეტი ბურთის გატანა — 2:1.

პრად. ცნობილია ჩეხმა მძლეოსანმა ქალმა დანა ზატაქოვამ გააუმჯობესა ვერობისა და მსოფლიო რეკორდი შუბის ტყორცნაში — 55 მ 73 სმ.

ნო-იორკი. ქ. მილესტოში ამას წინათ დამყარებულ იქნა ორი მსოფლიო რეკორდი. ესტაფეტაში 4x110 იარღზე აბილენე ქრისტიენ კოლეჯის გუნდმა აჩვენა 39,7 წამი, ხოლო 4x220 იარღზე — 1 წუთი 22,6 წამი.

აქვე იქნა ნაჩვენები ბრწყინვალე შედეგები ბირთვის კვრამში. ობრაიენმა, ლონგმა, დევისმა და ნიდერმა ბირთვი გაგზავნეს 18 მეტრზე უფრო შორს. მათგან საუკეთესო შედეგი აქვს ობრაიენს, რომელსაც მხოლოდ 2 სანტიმეტრი დაეკლდა საკუთარ მსოფლიო რეკორდამდე. მისი შედეგია 19 მ. 23 სმ.

პირველი სპორტული მანქანა




ეს ლამაზი ერთადგილიანი სპორტული მანქანა თბილისის ატკ-ს სპორტსმენ-მოყვარულთა ძალებითაა შექმნილი. იგი გათვალისწინებულია საგზატყვილო წრითი რბოლისათვის. საქართველოს ავტომობილები მასზე პირველად მიიღებენ მონაწილეობას წრითი რბოლის საკავშირო შეჯიბრებაზე, რომელიც მიმდინარე წლის სექტემბერში მიწაში გაიმართება.

მანქანა შექმნილია ავტომობილ მ-20-ის აგრეგატების ბაზაზე. მასზე დადგმულია „ბობილ“ ტიპის ფორსირებული ძრავა, რომლის ხიმლავერ 75 ცხენის ძალამდე გაზრდილი. იგი 2500 კმ სანტიმეტრის კლასისა. მისი სავარაუდო სისწრაფეა 180 კილომეტრი საათში.

მანქანის კონსტრუქტორია ტექნიკურ მეცნიერებთა კანდიდატი ვ. შახნაზაროვი. იგი შექმნის ატკ-ს უფროსმა მექანიკოსმა, საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ბ. შულცმა და პირველთაირიგოხანმა მრბოლელმა შ. ზარდანიშვილმა, რომელიც ამ მანქანით მიიღებს მონაწილეობას საკავშირო ასპარეზობაში.

ამ მანქანის გარდა ავტოსპორტის მოყვარულები ი. ვართაბერიძე, ა. ოვანესოვი, ი. გარსევანიშვილი, შ. მენჭონიანი და სხვები ქმნიან სამ ერთადგილიან სპორტულ ავტომანქანას, რომლებიც აგრეთვე გამოვლენ საკავშირო ასპარეზობაზე.

სურათზე: ერთადგილიანი სპორტული მანქანა. ფოტო და ტექსტი ს. კილაძისა.



ახალგაზრდა მხატვართა კლუბი

„მამაი“ ტურისტები.

ნ. ა. ერაძისა.